ინგლისური ენის გრამატიკა

ბექა ბერიკაშვილი • ბენ მილერი

English Grammar

Advanced B2-C1

დიოგენე

თეორიული ნაწილი

ბექა ბერიკაშვილი, ბენ მილერი
ინგლისური ენის გრამატიკა
თეორიული ნაწილი

Beka Berikashvili, Ben Miller
English Grammar
Advanced B2-C1

რედაქტორები:
ნინო გუდაშვილი, ლალი ბაქრაძე

დიზაინერი:
ბექა ბერიკაშვილი

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024
ყველა უფლება დაცულია.

ISBN: 978-9941-11-876-0

www.diogene.ge

სარჩევი

ავტორების შესახებ 4
წინასიტყვაობა 5
თავი 0: შესავალი ინგლისური ენის გრამატიკაში 7

თავი 1. სრული და უსრული ასპექტი 21
თავი 2. შედეგობითი ასპექტი 41
თავი 3. მომავალი დრო 59
თავი 4. პასიური გვარი და შუალობითი კონტაქტი 77
თავი 5. მარტივი წინადადება 91
თავი 6. სახელზმნა: ინფინიტივი, გერუნდივი და მიმღეობა 109
თავი 7. მოდალური ზმნები 133
თავი 8. არსებითი სახელი და რაოდენობრივი მსაზღვრელი 149
თავი 9. არტიკლი 165
თავი 10. ნაცვალსახელი და მსაზღვრელი 179
თავი 11. ზედსართავი და ზმნიზედა 195
თავი 12. წინდებულები, წინდებულიანი ფრაზები, ფრაზული ზმნები 215
თავი 13. რთული წინადადება, კავშირი 235
თავი 14. პირობითი სინტაქსური სტრუქტურები 255
თავი 15. ირიბი თქმა 271
თავი 16. სხვა სინტაქსური სტრუქტურები 285

დანართი 1. არაწესიერი ზმნები 301
დანართი 2. გრამატიკული სუფიქსების მართლწერა 305
დანართი 3. შემოკლებული ფორმები 309
დანართი 4. ზმნები, რომლებსაც მოსდევს ინფინიტივი ან გერუნდივი 312
დანართი 5. მოდალური ზმნები 316
დანართი 6. ფრაზული ზმნები 319
დანართი 7. წინდებულიანი ფრაზები 332
დანართი 8. ზმნები, არსებითი სახელები და ზედსართავები წინდებულებით 344
დანართი 9. სიტყვათწარმოება 358
დანართი 10. ორთოგრაფია და პუნქტუაცია 366
დანართი 11. ჩართული 372
დანართი 12. რიცხვითი სახელი 378
დანართი 13. ფუნქციური ზმნები 382
დანართი 14. შორისდებული 392

გრამატიკული ტერმინების ლექსიკონი 394
საძიებელი 399

ავტორების შესახებ

ბექა ბერიკაშვილი

ბექა ბერიკაშვილი არის ინგლისურის მასწავლებელი, რომელსაც აქვს ქართველებისთვის ინგლისურის სწავლების თხუთმეტწლიანი გამოცდილება. ბექა არის ინგლისური ენის სასწავლო ცენტრის, "ბექას სკოლის" (Beka's School) დამფუძნებელი, რომელიც მდებარეობს თბილისში და წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან ენის სკოლას ქვეყანაში.

ბექა ცნობილია თავისი ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომებით ინგლისურის სწავლებისადმი. გარდა გრამატიკის ღრმა ცოდნისა, მას აქვს უნარი, კომპლექსური ცნებები სახალისოდ, მარტივად და გასაგებად გააცნოს ნებისმიერ დონეზე მყოფ სტუდენტებს, რის გამოც ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მასწავლებელია საქართველოში და ჰყავს ასობით ათასი მიმდევარი სოციალური მედიის პლატფორმებზე.

ბენ მილერი

ბენ მილერი ამერიკელი ლინგვისტი და ინგლისურის მასწავლებელია, რომელსაც საქართველოსა და ბევრ სხვა ქვეყანაში ინგლისური ენის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ბენს ტიპური ამერიკული დამოკიდებულება აქვს ინგლისურ ენასთან და მის გრამატიკასთან - მისთვის ენა მუდმივად ცვალებადი და ცოცხალია. ამიტომ მნიშვნელოვნად მიაჩნია, ისეთი გრამატიკა ასწავლოს, როგორიც ყოველდღიურ სასაუბრო ინგლისურში გამოიყენება.

ბენი ასევე შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას, რომლის შესწავლა ჯერ კიდევ ინდიანას უნივერსიტეტში დაიწყო პროფესორ დოდონა კიზირიას ხელმძღვანელობით. სწორედ ქართული ენის სიყვარულმა ჩამოიყვანა იგი საქართველოში 2010 წელს და მას შემდეგ უამრავ ქართველს ასწავლა ინგლისური ენა.

წინასიტყვაობა

წიგნის შესახებ

ეს წიგნი განკუთვნილია მაღალი დონის (B2-C1) მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სურთ, სრულად და ამომწურავად შეისწავლონ ინგლისური ენის გრამატიკა, რათა შეძლონ უშეცდომოდ წერა და საუბარი როგორც ყოველდღიურ, ისე აკადემიურ ან ბიზნესგარემოში.

წიგნის გამოყენება შესაძლებელია როგორც საკლასო სახელმძღვანელოდ, ისე ინდივიდუალურად, თვითმასწავლებელ რესურსად.

წიგნი ყოველდღიულ ამერიკულ ინგლისურში გამოყენებულ გრამატიკაზეა ორიენტირებული, თუმცა ასევე ფარავს ბრიტანულ-ამერიკულ განსხვავებებსა და ოფიციალურ ინგლისურში გამოყენებულ გრამატიკულ კონსტრუქციებს.

სახელმძღვანელო ორნაწილინია – შეიცავს თეორიულ და პრაქტიკული ნაწილებს. თეორიული ნაწილი შედგება 16 თავისგან და ფარავს ინგლისური ენის გრამატიკას სრულად, დაწყებული დროის ფორმებით და დამთავრებული არტიკლებითა და წინდებულებით. თითოეული თავი მოიცავს დიაგრამებს, რომლებიც ხელს უწყობს მასალის ვიზუალურ აღქმას და აადვილებს სხვადასვხა გრამატიკული კონსტრუქციის გაგებას.

სახელმძღვანელოს პრაქტიკულ ნაწილში წარმოდგენილია თითოეული თავის შესაბამისი გრამატიკული სავარჯიშოები და ინტერაქციული ელექტრონული ქვიზები.

ამ წიგნის მეშვეობით იმოგზაურებთ, ერთი მხრივ, ინგლისური ენის გრამატიკის სამყაროში, მეორე მხრივ კი – ამერიკის შეერთებულ შტატებში. წიგნის თითოეული თავი ეძღვნება ერთ ლოკაციას ამ ქვეყანაში და გაფორმებულია შესაბამისი ფოტოებით. ყოველი თავი იწყება ტექსტით, რომელიც ეხება ამ ადგილს და რომელშიც გამოყენებულია შესაბამის თავში ახსნილი გრამატიკული კონსტრუქციები. სახელმძღვანელოს პრაქტიკულ ნაწილში ასევე შეგხვდებათ სავარჯიშოები ტექსტებითა და დიალოგებით, რომლებიც ამ კონკრეტულ ლოკაციასთანაა დაკავშირებული.

მეთოდოლოგია

წიგნი სრულად პასუხობს ქართველი სტუდენტების საჭიროებას, რაც იმას გულისხმობს, რომ გრამატიკული წესები ახსნილია ქართულ ენაზე, ისეთი ფორმით და ისეთი ტერმინების გამოყენებით, რომლებიც ქართულენოვანი ადამიანისთვის ადვილად გასაგებს ხდის ინგლისური ენის მუშაობის პრინციპებს და ინგლისური წინადადების სტრუქტურას. სახელმძღვანელოში ხაზგასმულია ის ძირითადი შეცდომები, რომლებსაც ქართველები განსაკუთრებით ხშირად უშვებენ ინგლისურ ენაზე ზეპირი ან წერითი მეტყველებისას.

წიგნის მეთოდოლოგია ეფუძნება ეტაპობრივ და თანამიმდევრულ სწავლებას. თითოეული თავი იწყება თეორიული განმარტებებით, რასაც მოჰყვება პრაქტიკული სავარჯიშოები და ინტერაქციული ქვიზები. ეს მიდგომა უზრუნველყოფს გრამატიკის სიღრმისეულ გააზრებას, სტუდენტის თავდაჯერებულობის გაზრდას და ისეთი უნარების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ენის სწორ გამოყენებას ყოველდღიურ კომუნიკაციაში.

გრამატიკული ტერმინები

თითოეულ თავში გრამატიკული ცნებები ახსნილია შესაბამის კონტექსტში. ასევე, წიგნის ბოლოს მოცემულია გრამატიკულ ტერმინთა ლექსიკონი, რომელიც დაგეხმარებათ ამა თუ იმ გრამატიკულ საკითხზე ინგლისურად დამატებითი ინფორმაციის მოძიების საჭიროების შემთხვევაში.

სავარჯიშოები

სახელმძღვანელოს პრაქტიკული ნაწილი მოიცავს სხვადასხვა ტიპის გრამატიკულ სავარჯიშოებს, რომლებიც ორიენტირებულია გრამატიკის სიღრმისეულ გააზრებაზე. თეორიულ ნაწილში თითოეული ქვეთავის ბოლოს მითითებულია, რომელი სავარჯიშოები უნდა შესრულდეს პრაქტიკული ნაწილიდან ამ ქვეთავის მასალის ასათვისებლად. თავის ბოლოს ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი სავარჯიშოები.

გარდა ამისა, ყოველი თავის ბოლოს არის სათარგმნი სავარჯიშოები, წერითი დავალებები და სასაუბრო ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ გრამატიკის საფუძვლიანად შესწავლას, ერთი მხრივ, და შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განმტკიცებას, მეორე მხრივ.

ინტერაქციული ქვიზები

სახელმძღვანელოს პრაქტიკულ ნაწილში თითოეული თავის ბოლოს წარმოდგენილია ელექტრონული ინტერაქციული ქვიზები, რომლებზე გადასვლაც QR კოდის დასკანერებით შეგიძლიათ. ქვიზი თითოეული პასუხის შემდეგ გეუბნებათ, რატომ არის ეს პასუხი სწორი ან არასწორი. ასეთი ინტერაქციული ქვიზები გაძლევთ არა მხოლოდ ცოდნის შემოწმების, არამედ ასევე გავლილი მასალის გამეორების შესაძლებლობას.

ბარათებიანი ქვიზები (FLASHCARDS)

ბარათებიანი ქვიზები ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა საზეპირო მასალის დასამახსოვრებლად და გასამეორებლად. ამ ქვიზებს ნახავთ წიგნის იმ დანართებში, რომლებიც ეძღვნება საზეპირო მასალას (არაწესიერი ზმნები, წინდებულები, ფრაზული ზმნები და ა. შ.).

პასუხები

სახელმძღვანელოს პრაქტიკულ ნაწილში თითოეული თავის ბოლოს წარმოდგენილია QR კოდი, რომლის დასკანერებით შეგიძლიათ სავარჯიშოების პასუხების ნახვა.



თავი 4. პასიური გვარი და შუალობითი კონტაქტი



Yosemite: Timeless Beauty Sculpted by Nature

Yosemite National Park, located in California's Sierra Nevada mountains, **is revered** worldwide for its captivating beauty and majesty. Over four million visitors annually **are drawn** to the park's stunning granite cliffs, waterfalls, and vast biodiversity. The incredible beauty of the park **has been immortalized** in paintings, photographs, and literature.

Since 1890, Yosemite **has been preserved** as a national park, and it **was recognized** as a UNESCO World Heritage Site in 1984.

Yosemite **is admired** for its breathtaking views, from the roaring Yosemite Falls, the highest waterfall in North America, to the serene Mirror Lake. Every year, these magnificent sites **are photographed** by millions of tourists, creating memories that will last a lifetime. Visitors often **get park rangers to guide** them through the park's 800 miles of trails. They **have them explain** the park's biodiversity, showcasing the wide array of wildlife species that **are protected** here.

The geology of Yosemite **has been continuously studied** by researchers. New insights into the park's geological history **are being uncovered**, enriching our understanding of this unique natural environment. The park's biological diversity, on the other hand, **has been cataloged** meticulously by generations of biologists. Over 400 vertebrate species **have been identified** in the park, and this figure **is continuously being updated** as new species **are discovered**.

However, the park's future **is threatened** by climate change, increasing visitation, and pollution. It's essential to understand how the park's diverse species **can be affected** and what measures **can be taken** to mitigate these effects. Future plans for the park **are being devised** by park officials and environmental experts. They **have studies conducted** on the park's changing conditions, like warmer winters and shifting wildlife patterns. Over the decades, park officials **have had thousands of trees planted** to maintain Yosemite's diverse ecosystems. In recent years, there has been an increase in efforts to **have the original flora and fauna reintroduced**. The endangered Sierra Nevada bighorn sheep, which **were once pushed** to the brink of extinction, **are being restored** to their natural habitat in the park.

Through collective efforts, this magnificent park **will be preserved** for generations to come. Its magic **has been experienced** by millions, and many more **will be enchanted** by its splendor in the future.



აქტიური და პასიური გვარი

ზმნის გვარი ეხება სუბიექტის როლს წინადადებაში. სუბიექტი შეიძლება თავად ახორციელებდეს ზმნით გამოხატულ მოქმედებას ან პირიქით – საკუთარ თავზე განიცდიდეს მოქმედებას. შესაბამისად, ინგლისურ ენაში ზმნას აქვს ორი გვარი – აქტიური (active voice) და პასიური (passive voice). მაგალითად:

- Shakespeare **wrote** [დაწერა] Hamlet.
- Hamlet **was written** [იქნა დაწერილი] by Shakespeare.

პირველი წინადადება გვეუბნება, რომ სუბიექტმა (Shakespeare) თავად განახორციელა ზმნით გამოხატული მოქმედება, ანუ დაწერა წიგნი. შესაბამისად, ამ წინადადებაში ზმნა აქტიურ გვარშია. მეორე წინადადება კი გვაჩვენებს, რომ სუბიექტმა (Hamlet) თავის თავზე განიცადა მოქმედება, ანუ დაიწერა. შესაბამისად, აქ ზმნა პასიურ გვარშია. რეალური მოქმედი პირი პასიურ გვარში წარმოდგენილია წინადადების ბოლოში by წინდებულით (by Shakespeare).

ორივე წინადადება სრულ წარსულ დროშია. აქტიურ გვარში თავად სრულმნიშვნელოვანი ზმნა იღებს შესაბამისი დროის ფორმას (wrote), პასიურში კი სრული წარსული დროის ფორმას იღებს be დამხმარე ზმნა (was). მთავარი ზმნა პასიურ გვარში ყოველთვის მესამე ფორმაშია (written).

აქტიურიდან პასიურ გვარში გადაყვანის დროს აქტიური გვარის ობიექტი იქცევა პასიური გვარის სუბიექტად. შესაბამისად, ერთპირიან გარდაუვალ ზმნებს მხოლოდ აქტიური გვარი აქვთ, რადგან მათ არ შეესაბამებათ ობიექტი.

სამპირიან ზმნებს ორი ობიექტი აქვთ – პირდაპირი და ირიბი. ამიტომ ისინი პასიურ გვარს ორნაირად აწარმოებენ. → პირდაპირი და ირიბი ობიექტები | 93

- Nodar **gave** the letters to Lana. (აქტიური)
- Lana **was given** the letters by Nodar. (პასიური)
- The letters **were given** to Lana by Nodar. (პასიური)



*Yosemite **was recognized** as a UNESCO World Heritage Site in 1984.*

*The natural wonders of Yosemite **have been admired** by generations of visitors. The park's trails and facilities **are currently being upgraded** to enhance the experiences of its visitors.*

პასიური გვარის წარმოება

პასიური გვარი იწარმოება be დამხმარე ზმნითა და მთავარი ზმნის მესამე ფორმით. დროის, პირისა და რიცხვის მიხედვით იცვლება be ზმნა. მთავარი ზმნა პასიურ გვარში ყოველთვის მესამე ფორმაშია. → დამხმარე ზმნები | 16 → ზმნის ფორმები | 12 მაგალითად, თუ აქტიურ გვარში ზმნა გვაქვს უსრულ აწმყო დროში, მის შესაბამის წინადადებაში პასიურ გვარში გვექნება be ზმნა უსრულ აწმყოში (am / is / are being), მთავარი ზმნა კი მესამე ფორმაში იქნება:

- Laura **is printing** the handouts.
- The handouts **are being printed** by Laura.

ანალოგიურად, თუ გვჭირდება პასიური გვარის წარმოება შედეგობით სრულ აწმყოში, be ზმნა მიიღებს შედეგობითი სრული აწმყოს ფორმას (have / has been), მთავარი ზმნა კი აქაც მესამე ფორმაში იქნება:

- The head teacher **has corrected** all the papers.
- All the papers **have been corrected** by the head teacher.

▼▲ პასიური გვარის გრამატიკული სტრუქტურა



სრული (SIMPLE) ასპექტის დროები პასიურ გვარში

- Jack **takes** a lot of pictures every day.
- A lot of pictures **are taken** by Jack every day.

- Jack **took** this picture last January.
- This picture **was taken** by Jack last January.

- Jack **will take** the pictures of your wedding reception.
- The pictures of your wedding reception **will be taken** by Jack.

უსრული (CONTINUOUS) ასპექტის დროები პასიურ გვარში

- Jack **is taking** a very important picture right now.
- A very important picture **is being taken** by Jack right now.

- Jack **was taking** this picture when the earthquake struck.
- This picture **was being taken** by Jack when the earthquake struck.

შედეგობითი სრული (PERFECT SIMPLE) ასპექტის დროები პასიურ გვარში

- Jack **has taken** this picture.
- This picture **has been taken** by Jack.

- Jack **had taken** more than a thousand pictures before we got there.
- More than a thousand pictures **had been taken** by Jack before we got there.

- Jack **will have taken** all the pictures for the article before Monday.
- All the pictures for the article **will have been taken** by Jack before Monday.

მიაქციეთ ყურადღება, რომ დროის 12 ფორმიდან მხოლოდ 8 აწარმოებს პასიურ გვარს. პასიური გვარი არ აქვს უსრულ მომავალ დროს და შედეგობითი უსრული ასპექტის დროებს.

ინფინიტივი და გერუნდივი პასიურ გვარში

პასიურ გვარში შეიძლება იყოს არა მარტო დროში ჩასმული ზმნები, არამედ ზმნის უპირო ფორმებიც – ინფინიტივი და გერუნდივი. → ინფინიტივის და გერუნდივის ფორმები | 125 ამ შემთხვევაშიც, ინფინიტივის ან გერუნდივის ფორმას იღებს be დამხმარე ზმნა, მთავარი ზმნა კი მესამე ფორმაშია.

- I don't like **to correct** people.
- People don't like **to be corrected**.

- The company is going **to select** Giorgi for the job.
- Giorgi is going **to be selected** for the job.

- You should **send** all the letters tomorrow.
- All the letters should **be sent** tomorrow.

- I enjoy **hugging** people.
- People enjoy **being hugged**.

GET დამხმარე ზმნა პასიურ გვარში

სალაპარაკო ინგლისურში პასიური გვარის ყველა ფორმაში to be დამხმარე ზმნის ნაცვლად ხშირად გამოიყენება to get ზმნა. მაგალითად:

- My bag **got stolen** on the bus this morning.
- The laundry **is getting done**, don't worry.

get ზმნა პასიური გვარის საწარმოებლად უფრო ხშირად გამოიყენება ისეთი მოქმედებების აღსანიშნავად, რომლებიც შემთხვევით ან მოულოდნელად ხდება და ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება, განსაკუთრებით, როცა უსიამოვნო, ნეგატიურ შემთხვევაზე ვსაუბრობთ:

- I had an unbelievably horrible day yesterday. First, I **got bitten** by a dog, then I **got hit** by a car, and then my computer **got stolen**!

get ზმნა მთავარი ზმნის მესამე ფორმასთან ერთად ასევე გამოიყენება რამდენიმე გავრცელებულ ფრაზაში, რომლებსაც არ აქვთ პასიური მნიშვნელობა. → ფუნქციური ზმნები | 382 მაგალითად:

- We **got lost** in the woods.
- I **got dressed** quickly.
- I had to **get changed** after fixing the car.

- Let's **get started**.
- They **got married** in 2009.
- They **got divorced** after two years.

→ სავარჯიშო A | 41

*Yosemite falls **is being lit** by the warm rays of the setting sun, casting a breathtaking glow upon the cascading waters.*

პასიური გვარის გამოყენება

პასიური გვარი ძირითადად გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა არაა საჭირო ან არ გვინდა მოქმედების შემსრულებლის აღნიშვნა და უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რა კეთდება, ვიდრე – ვის მიერ კეთდება.

1. პასიური გვარი გამოიყენება მაშინ, როცა მოქმედების შემსრულებელი არ ვიცით:

- My car **was stolen** yesterday.
- All the cookies **have been eaten**. Do you know who ate them?

2. პასიური გვარი გამოიყენება, როცა მოქმედების შემსრულებელი აშკარაა კონტექსტიდან და მისი ხსენება უბრალოდ არაა საჭირო:

- The thief **has been caught**.

აშკარაა, რომ ქურდი პოლიციამ დაიჭირა. მოქმედების შემსრულებელი ვიცით და შესაბამისად, შეგვიძლია აქტიური გვარიც გამოვიყენოთ (The police have caught the thief), თუმცა პასიური გვარის გამოყენება გვაძლევს საშუალებას, წინადადება ისე დავალაგოთ, რომ უფრო მნიშვნელოვანი და ახალი ინფორმაცია ვაცნობოთ თანამოსაუბრეს წინადადების დასაწყისში და საერთოდ არ აღვნიშნოთ მოქმედების შემსრულებელი, რადგან ის ისედაც აშკარაა კონტექსტიდან.

3. პასიური გვარი გამოიყენება, როცა მოქმედების შემსრულებელი უმნიშვნელოა და უფრო მნიშვნელოვანია თავად მოქმედება:

- A new block of apartments **has been built** in front of my window, so I don't have the same view anymore.

ამ წინადადებით გვინდა იმის თქმა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ააშენა კორპუსი ჩემი ფანჯრის წინ. მნიშვნელოვანია, რომ ის აშენდა და ხედი გამიფუჭდა.

4. პასიური გვარი შეგვიძლია გამოვიყენოთ მაშინ, როცა მიზანმიმართულად გვინდა, თავი ავარიდოთ მოქმედების შემსრულებელი პირის ხსენებას გარკვეული მიზეზის გამო. მაგალითად:

- I am crying because you **have broken** my laptop.
- I am crying because my laptop **has been broken**.

პასიური გვარის გამოყენებით მეორე წინადადებაში შეგვიძლია თავი ავარიდოთ მოქმედების შემსრულებლის ხსენებას, თუ იმის ჩვენება გვინდა, რომ კომპიუტერის გაფუჭებაა პრობლემა ჩვენთვის და არა ის, რომ ეს შენ ჩაიდინე.

5. პასიური გვარი გამოიყენება წინადადებებში, რომელიც ეხება არა კონკრეტულ მოქმედ პირს, არამედ ზოგადად ხალხს, ნებისმიერ ადამიანს:

- More information about our company **can be found** at www.ourcompany.com.
- Books **are written** to share stories and knowledge.

6. პასიური გვარი ხშირად გამოიყენება ახალ ამბებში, ოფიციალურ შეტყობინებებში, ინსტრუქციებსა და ტექნოლოგიური პროცესის აღწერებში, რადგან ამ შემთხვევებში ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, თუ რა მოქმედება სრულდება, ვიდრე ის, თუ ვინ ასრულებს ამ მოქმედებას. მაგალითად:

- The Mona Lisa **has been stolen** from the Louvre.
- Smoking **isn't allowed** anywhere in the building.
- The substance **must be handled** with care as it is exceedingly toxic.
- Margarine **is made** mainly of refined vegetable oil and water.

7. პასიურ გვარს ხშირად ვიყენებთ წერით ინგლისურში, განსაკუთრებით ოფიციალურ და აკადემიურ წერაში, როცა გვინდა აქცენტი გავაკეთოთ უშუალოდ მოქმედებაზე და არა ამ მოქმედების შემსრულებელ პირზე:

- A series of important legislative reforms **have been implemented** over the last decades.
- The whole team is working on the report. It **will be presented** next Tuesday.

8. როცა მოქმედების შემსრულებელი გრძელი ფრაზით არის გამოხატული, პასიური გვარი გვაძლევს საშუალებას, ის წინადადების ბოლოში გადავიტანოთ by წინდებულით და წინადადება არ დავიწყოთ უჩვეულოდ გრძელი სუბიექტით:

- He was taught graphic design **by a designer who created logos for big international companies.**
- The procedure was performed **by a team of highly skilled surgeons specializing in complex cases**.

9. ამბის თხრობის დროს აქტიური და პასიური გვარის მონაცვლეობა საშუალებას გვაძლევს, ერთი და იგივე სუბიექტი შევინარჩუნოთ ერთმანეთზე მიყოლებულ წინადადებებში და არ გადავიტანოთ ფოკუსი სხვა ადამიანზე, მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ ქმედებას შეიძლება სხვა ასრულებდეს.

- **Nodar** waited for hours before **he** was seen by the dentist, but then **he** was just sent back to the waiting room. **He** waited for an hour again and finally, **he** was told that **he** had to go to the clinic again the next day. **He** got really angry about that.

→ სავარჯიშო B | 42

აქტიური გვარი პასიური მნიშვნელობით

ზოგჯერ აქტიური გვარის ზმნა შეიძლება პასიურ მნიშვნელობას გამოხატავდეს. მაგალითად:

- The door **opened** slowly.
- The ice **melts** quickly in the sun.
- The soup **is cooking** on the stove.
- My car window **broke** yesterday.
- The product **will launch** next week.
- The cookies **baked** for twelve minutes.

ამ წინადადებებში სუბიექტი თვითონ არ ასრულებს მოქმედებას (კარი ვიღაცამ გააღო, ყინულს მზე ადნობს, სუპს ვიღაც ამზადებს და ა. შ.), თუმცა გრამატიკული სტრუქტურა გამარტივებულია და ზმნა აქტიურ გვარშია.

აქტიური გვარის სტრუქტურა პასიურის ნაცვლად ასევე გამოიყენება, როცა სუბიექტი თავის თავზე განიცდის მოქმედებას, თუმცა მისი გარკვეული თვისება ან მახასიათებელი იძლევა საშუალებას, რომ მოქმედება შესრულდეს ადვილად. ასეთ წინადადებებში ხშირად გამოიყენება ზმნიზედები, რომლებიც გვეუბნება, რამდენად ადვილად ან კარგად სრულდება მოქმედება (well, easily, smoothly). მაგალითად:

- The book **reads** easily.
- This car **doesn't drive** smoothly anymore.
- The clothes **wash** well.
- The door **locks** securely.
- This phone **sells** like hot cakes.
- All his novels **sold** very well.
- The software **installs** in seconds.
- Some people **photograph** easily.

*The towering granite cliffs of Yosemite **are admired** by countless visitors every year.*

სრული აწმყო დრო პასიურ გვარში

დროის ფორმები პასიურ გვარში გამოხატავს იმავე შინაარსს, რასაც აქტიურ გვარში. სრული აწმყო დრო (present simple) ეხება ზოგად ფაქტს აწმყოს შესახებ ან განმეორებად მოქმედებას აწმყოში და არა ერთ კონკრეტულ მოქმედებას. ასეა პასიურ გვარშიც. მაგალითად:

- The information about the device **is provided** in the user manual.
- This physics course **is taught** by an experienced teacher.
- The museum **is visited** mostly by young people.
- Guided tours and educational programs **are conducted** by park rangers to inform visitors about the unique geological formations and ecosystems found in Yosemite.
- This bridge **is crossed** by thousands of cars every single day.
- A new word **is added** to the English language every two hours.
- Billions of emails **are sent** every day.

ქართულისგან განსხვავებით, როცა გვინდა ვთქვათ, რომ კონკრეტული მოქმედება შესრულებულია ვინმეს მიერ, ვიყენებთ პასიური გვარის სრულ წარსულ დროს (past simple) ან შედეგობით სრულ აწმყო დროს (present perfect simple) და არა სრულ აწმყოს. სრულ წარსულს ვიყენებთ, როცა ვყვებით ამბავს იმის შესახებ, რომ მოქმედება შესრულდა წარსულში; ხოლო როცა გვინდა იმის აქცენტირება, რომ მოქ-მედება ამ მომენტისთვის უკვე შესრულებულია, ვიყენებთ შედეგობით სრულ აწმყო დროს. მაგალითად:

- This book **was written** by Shakespeare.
- This amazing photo **was taken** by my friend.

- All the emails **have been sent** to the participants.
- This bridge **has been crossed** by thousands of cars today.

- **შეცდომაა!** ~~This book **is written** by Shakespeare.~~ | ~~All the emails **are sent** to the participants.~~



*Yosemite National Park **is located** in the western Sierra Nevada mountains of California.*

ზმნის მესამე ფორმა, როგორც ზედსართავი

ზოგიერთი ზმნის მესამე ფორმა გამოიყენება, როგორც ზედსართავი to be ზმნის შემდეგ. ასეთი წინადადებები ფორმით ჰგავს სრულ აწმყო ან წარსულ დროებს პასიურ გვარში, მაგრამ არ გამოხატავს იმავე შინაარსს. → პასიური მიმდეობა | 131 შეადარეთ:

- The frame of the picture is **broken** [არის გატეხილი].
- The frame of the picture was **broken** [იყო გატეხილი].
- The frame of the picture **was broken** / **has been broken** [იქნა გატეხილი] by the kids.

- **შეცდომაა!** ~~The frame of the picture **is broken** by the kids.~~

ქვემოთ მოცემულ წინადადებებში გვაქვს გავრცელებული ზმნის მესამე ფორმები, რომლებიც to be ზმნის შემდეგ ხშირად გამოიყენება, როგორც ზედსართავები:

- We are **done**. I am **tired**. We can go home now.
- The project is **finished** and ready for presentation.
- The door was **closed**. They were **gone**.
- Sorry, but all the seats in the auditorium **are taken**.
- The poster hanging on the wall is **torn** on one side.
- The street is **crowded** during rush hour.
- The resort **is located** on a secluded island.
- These books are **used**. New ones are over there.

born მხოლოდ პასიურ გვარში გამოიყენება სრულ წარსულ დროში (was born). ის არ გამოიყენება აწმყოში, როგორც ზედსართავი be ზმნის შემდეგ (is born):

- He **was born** in Tibet.

- **შეცდომაა!** ~~He **is born** in Tibet.~~

→ სავარჯიშო C | 43

მოქმედი პირი პასიურ გვარში

პასიური გვარის გამოყენების შემთხვევების უმრავლესობაში მოქმედების შემსრულებელი არ ჩანს და პასიურ გვარს ძირითადად სწორედ იმიტომ ვიყენებთ, რომ თავი ავარიდოთ მოქმედი პირის ხსენებას. თუმცა პასიური გვარი შეიძლება გამოვიყენოთ იმისთვისაც, რომ მოქმედების შემსრულებელს განსაკუთრებული ადგილი მივანიჭოთ წინადადების ბოლოში და ის ვაქციოთ ინტერესის საგნად.

- All these articles were written **by a 16-year-old boy**.

წინადადებაში ინფორმაციის თანამიმდევრობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს აზრის ზუსტად გადმოსაცემად და წინადადების რომელიმე წევრზე ყურადღების გასამახვილებლად. პასიური გვარის გამოყენება საშუალებას გვაძლევს, წინადადება დავიწყოთ ნაცნობი ინფორმაციით (თანამოსაუბრემ იცის, რომელ სტატიებზეა საუბარი) და ბოლოში ჩავსვათ ინფორმაცია, რომელიც მისთვის ახალია და, შესაბამისად, საინტერესო.

- The Mona Lisa was painted **by Leonardo da Vinci**.
- This book was written **by a renowned author**.
- The cake was baked **by my sister**.
- The problem is being solved **by our team of experts**.

პასიურ გვარში მოქმედების შემსრულებელს მხოლოდ მაშინ ვიყენებთ, როცა ის მნიშვნელოვანია. როდესაც მოქმედი პირი უცნობია ან მისი ხსენება არაა მნიშვნელოვანი, აქტიურ გვარში მის აღსანიშნავად გამოიყენება ზოგადი, დაუკონკრეტებელი სუბიექტი (they, people, someone, police და ა. შ.), რადგან ინგლისურ წინადადებაში აუცილებლად უნდა გვქონდეს სუბიექტი. პასიურ გვარში უცნობი ან უმნიშვნელო შემსრულებელი პირის გამოყენება წინადადების ბოლოში სტილისტური თვალსაზრისით ხშირად გაუმართლებელია:

- They told me that I had been selected for the role ~~**by them**~~.
- This problem isn't noticed very often ~~**by people**~~.
- I hope the plants will be watered **(by someone)** while I'm gone.
- The thief has been caught **(by the police)**.

BY და WITH წინდებულები პასიურ გვარში

მოქმედების შემსრულებელი პასიურ გვარში გამოიყენება by წინდებულთან ერთად, ხოლო როდესაც ვსაუბრობთ ინსტრუმენტზე, მასალაზე ან ინგრედიენტზე, ვიყენებთ with წინდებულს:

- The tree was cut **with an axe** (by a lumberjack).
- Our house was built **with bricks**.
- Sigua Cake is made only **with apples, flour, and sugar**.

- **შეცდომაა!** ~~The tree was cut **by an axe**.~~ | ~~Our house was built **by bricks**.~~

მიაქციეთ ყურადღება, რომ ზოგიერთი ზმნის მესამე ფორმა იმდენად არის ზედსართავად გარდაქმნილი, რომ პასიური გვარის სტანდარტულ წესებს აღარ ემორჩილება და შეიძლება დაირთავდეს სხვა წინდებულებსაც. → წინდებულიანი ზედსართავები | 231 მაგალითად:

- Laura is really **addicted to** coffee.
- I was so **amazed at** / **by** the way the event was organized.
- He was **excited about** the upcoming adventure trip to the mountains.
- I am really **frightened of** those dogs.
- He was **surprised at** / **by** the news he heard on the radio.
- His whereabouts are **known to** the police.
- Most of the surface of the Earth is **covered in** / **with** water.
- I am **interested in** movies in general, but I am so **bored of** / **with** this one.

- **შეცდომაა!** ~~Laura is really **addicted by** coffee.~~

→ სავარჯიშოები D-H | 43-46

უშუალო და შუალობითი კონტაქტი

კონტაქტი ზმნის მახასიათებელია, რომელიც გვიჩვენებს, სუბიექტი უშუალოდ მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე თუ სხვა პირის მეშვეობით. შესაბამისად, გვაქვს ორი კონტაქტი – უშუალო (non-causative) და შუალობითი (causative).

- Tom **wrote** [დაწერა] the essay himself.
- Tom **had** a professional writer **write** [დააწერინა] the essay for him.
- Tom **had** the essay **written** [დააწერინა] by a professional writer.

პირველ წინადადებაში ზმნა უშუალო კონტაქტშია, რაც იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი (Tom) თავადაა მოქმედი პირი და ის უშუალოდ მოქმედებს ობიექტზე (an essay). მეორე და მესამე წინადადებებში კი ზმნა შუალობითშია, რაც ნიშნავს, რომ სუბიექტი (Tom) სხვა პირის (a professional writer) საშუალებით მოქმედებს ობიექტზე (the essay). სამივე წინადადება სრულ წარსულ დროშია. უშუალო კონტაქტში თავად სრულმნიშვნელოვანი ზმნა იღებს შესაბამისი დროის ფორმას (wrote), შუალობითში კი – have დამხმარე ზმნა (had).

შუალობითი კონტაქტის ორი სტრუქტურა გვაქვს – პასიური და აქტიური. ზემოთ მოცემულ წინადადებებში მეორე იყენებს აქტიური შუალობითის სტრუქტურას, მესამე კი – პასიური შუალობითისას.

▼▲ შუალობითი კონტაქტის გრამატიკული სტრუქტურა

სუბიექტი | HAVE ზმნა საჭირო დროში | მოქმედი პირი | მთავარი ზმნა საწყის ფორმაში | ობიექტი

Lucy is having a photographer take her photo.

Lucy is having her photo taken by a photographer.

სუბიექტი | HAVE ზმნა საჭირო დროში | ობიექტი | მთავარი ზმნა მესამე ფორმაში | მოქმედი პირი

*Tourists often **have local photographers accompany** them to capture the breathtaking vistas of Yosemite in the best light.*

In recent years, there has been an increase in efforts ***to have the original flora and fauna reintroduced****. Soon, the park authorities* ***will have experts conduct a study*** *on the wildlife population in Yosemite.*

შუალობითი კონტაქტი (CAUSATIVE)

აქტიური შუალობითი კონტაქტი

აქტიური შუალობითი კონტაქტი იყენებს have ზმნას საჭირო დროში, რომელსაც მოსდევს მოქმედების შემსრულებელი პირი და შემდეგ ზმნა საწყის ფორმაში to ნაწილაკის გარეშე. მაგალითად:

- She **has** a tailor **make** her dresses for special occasions.
- She **had** a mechanic **repair** her car after it broke down.
- They **are having** a personal trainer **guide** them through their fitness routine.
- She **will have** a plumber **install** a new sink in the kitchen next week.

შუალობითი კონტაქტის შინაარსის გამოხატვა ასევე შესაძლებელია make, let, get და ask ზმნების გამოყენებით ინფინიტივთან ერთად. make და let ზმნები, have ზმნის მსგავსად, ინფინიტივს დაირთავენ to ნაწილაკის გარეშე, get და ask ზმნები კი – to ნაწილაკით:

- I **had** Jemal **take** my photo.
- I **made** Jemal **take** my photo.
- I **let** Jemal **take** my photo.
- I **got** Jemal **to take** my photo.
- I **asked** Jemal **to take** my photo.

ყველა ეს წინადადება გულისხმობს, რომ ჯემალს გავაკეთებინეთ საქმე, თუმცა შინაარსით ისინი ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისგან. have ზმნის გამოყენება ყველაზე ნეიტრალურია და მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ ჯემალს შევასრულებინეთ მოქმედება (შეიძლება ვთხოვეთ ან გადავუხადეთ). make ზმნის გამოყენება ნიშნავს, რომ ვაიძულეთ ჯემალი, ფოტო გადაეღო ჩვენთვის. let ზმნის გამოყენებით ვამბობთ, რომ ჯემალს ნება მივეცით, ფოტო გადაეღო ჩვენთვის. get ზმნით ვაჩვენებთ, რომ გარკვეული ძალისხმევა დაგვჭირდა ჯემალის დასათანხმებლად. ask ზმნის გამოყენება კი გულისხმობს იმას, რომ ჯემალს ვთხოვეთ ამ მოქმედების შესრულება.

პასიური შუალობითი კონტაქტი

პასიური შუალობითი კონტაქტი იწარმოება have ზმნის საშუალებით, რომელსაც მოსდევს ობიექტი და მთავარი ზმნის მესამე ფორმა:

- I **had my photo taken** by Jemal yesterday.

მიაქციეთ ყურადღება სიტყვების წყობას შუალობითი კონტაქტის წარმოების დროს – have ზმნის შემდეგ გვაქვს ჯერ ობიექტი და შემდეგ მთავარი ზმნის მესამე ფორმა და არა პირიქით:

- **შეცდომაა!** ~~I **had taken a photo** by Jemal yesterday.~~

მოქმედების შემსრულებელი პასიურ შუალობით კონტაქტში იშვიათად გამოიყენება, რადგან ამ ფორმის გამოყენების დროს ხშირად არ აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულად ვინ ასრულებს მოქმედებას. მთავარია, რომ სუბიექტი სხვას აკეთებინებს საქმეს.

- I **had a photo taken** yesterday.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ქართულ ენაში ხშირად არ ვიყენებთ შუალობით კონტაქტს, როცა სხვას ვაკეთებინებთ მოქმედებას. მაგალითად, ქართულად შეგვიძლია ვთქვათ "ფოტო გადავიღე" მაშინაც, როცა ფოტო სხვას გადავაღებინეთ. ინგლისურ ენაში ასეთ შემთხვევებში აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ შუალობითი კონტაქტი. "I took a photo" ინგლისურად ნიშნავს, რომ თავად გადავიღე ფოტო. თუ გვინდა ვთქვათ, რომ ფოტო სხვას გადავაღებინეთ, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ "I had a photo taken".

ზმნის შუალობითი კონტაქტი შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა დროში და ასევე ზმნის უპირო ფორმებთან – ინფინიტივთან და გერუნდივთან. ყველა შემთხვევაში შუალობით კონტაქტს აწარმოებს have დამხმარე ზმნა და ფორმების წარმოება არ ეხება ობიექტსა და მთავარ ზმნას:

- Jack **has** his hair cut every month.
- Jack **had** his hair cut yesterday.
- Jack **will have** his hair cut tomorrow.
- Jack **is going to have** his hair cut on Monday.
- Jack **is having** his hair cut at the moment.
- Jack **has** already **had** his hair cut.
- Jack wants **to have** his hair cut soon.
- Jack loves **having** his hair cut a lot.

შუალობით კონტაქტში კითხვითი და უარყოფითი ფორმების წარმოებისას have ზმნა დაირთავს დროის ფორმის შესაბამისი დამხმარე ზმნას:

- Jack **doesn't have** his hair cut every month.
- **Did** Jack **have** his hair cut yesterday?
- **Is** Jack **having** his hair cut at the moment?
- **შეცდომაა!** ~~Jack **hasn't** his hair cut every month.~~ | ~~**Had** Jack his hair cut yesterday?~~

სალაპარაკო ინგლისურში პასიურ შუალობით კონტაქტში have ზმნის ნაცვლად ასევე ხშირად გამოიყენება get ზმნა იმავე მნიშვნელობით:

- I **got** my car fixed last week.
- I **am getting** the house cleaned at the moment.
- I **will get** my cavity filled tomorrow.
- I'**m going to get** my nails done today.

პასიური შუალობითი კონტაქტის სტრუქტურა ასევე გამოიყენება ზმნებთან need, want და would like:

- He **needs** the computer repaired as soon as possible.
- I **want** the dishes washed before the guests arrive.
- We **would like** all the issues resolved today, please.

მოქმედების შემსრულებელი შუალობით კონტაქტში

პასიური შუალობითი კონტაქტი საშუალებას გვაძლევს, მოქმედების შემსრულებელი მხოლოდ მაშინ ვახსენოთ, როცა მნიშვნელოვანია, ვინ ასრულებს საქმეს, აქტიურ სტრუქტურაში კი მოქმედი პირი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ. შესაბამისად, აქტიური შუალობითი კონტაქტი უფრო ხშირად გამოიყენება, როცა მოქმედების შემსრულებელი მნიშვნელოვანია და გვინდა მისი ხსენება.

- I **had** my portrait **painted** (by a famous painter).
- I **had** a famous painter **paint** my portrait.

პირველ წინადადებაში მთავარია, რომ საკუთარი პორტრეტი სხვას დავახატვინეთ და მოქმედების შემსრულებელი შეიძლება ვახსენოთ ან არ ვახსენოთ, იმის მიხედვით, მნიშვნელოვანია თუ არა ეს. მეორე წინადადებით კი ვამბობთ, რომ მნიშვნელოვანია, რომ ნახატი ცნობილ მხატვარს დავახატვინეთ.

HAVE / GET SOMETHING DONE სხვა შინაარსის გადმოსაცემად

გრამატიკული სტრუქტურა have / get something done ასევე ხშირად გამოიყენება სხვა შინაარსის გადმოსაცემად – როცა სუბიექტს რამე უსიამოვნო შეემთხვევა:

- I **had my car stolen** last night.
- Thousands of residents **had their houses destroyed** by the earthquake.
- Don't make up with him. You are going to **get your feelings hurt** again.
- I **got my nose broken** a week ago.

ეს წინადადებები შუალობითი კონტაქტის სტრუქტურას იყენებს, თუმცა ნიშნავს, რომ რაღაც ცუდი შეგვემთხვა და არა იმას, რომ სხვას მოვაპარვინეთ მანქანა ან გავატეხინეთ ცხვირი. ამ მნიშვნელობით ეს სტრუქტურა იმავე შინაარსს გამოხატავს, რასაც პასიური გვარი.

→ სავარჯიშოები I-N | 47-51 → WRITING | 51-52 → SPEAKING | 53 → QUIZ | 53